სამაგისტრო პროგრამა *ბერძნულ–რომაული ფილოლოგია*

პროგრამისათვის სავალდებულო სასწავლო კურსები:

ახალი ბერძნული სამეცნიერო ენა 1, 2, 3

Modern Greek Scientific Language 1, 2, 3

სასწავლო კურსი, გათვლილი სამ სასწავლო სემესტრზე, გულისხმობს, შეასწავლოს მაგისტრანტს ახალი ბერძნული ენის სამეცნიერო ლექსიკა (სხვადასხვა სფეროის მიხედვით: ბიოსამედიცინო მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სხვ.), იდიომატური გამოთქმები, მარტივი ლინგვისტური კონსტრუქციები. სასწავლო კურსის მიზანია, აგრეთვე, მაგისტრანტი დააუფლოს მაღალფარდოვან, ახალბერძნული სამეცნიერო (მწიგნობრული) ენისათვის დამახასიათებელ მორფოლოგიას, სინტაქსსა და სტილისტიკას, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას; გამოუმუშავოს მაგისტრანტს სამეცნიერო ხასიათის მარტივი ტექსტების თარგმნის უნარი ახალი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ახალ ბერძნულად.

ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 1 – ეპოსი

Genres of Ancient Greek and Roman Literature 1 – Epic

სასწავლო კურსი გულისხმობს, ანტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ცენტრალური ჟანრის – ეპოსის – ღრმა და სისტემურ შესწავლას მის თანამედროვე სოციალურ კონტექსტში ძველი ბერძნული და ლათინური ეპიკური ტექსტების სიმბოლიკისა და სტილის, ანტიკური ეპოსის რეცეფციის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით.

ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 2 – ლირიკა

Genres of Greek and Roman Literature 2 – Lyrics

სასწავლო კურსი გულისხმობს, ანტიკური ლირიკის ღრმად და სისტემურად შესწავლას. მაგისტრანტისათის ანტიკურ ლირიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკის, ლირიკოსთა ფრაგმენტულად და სრულად მოღწეული ტექსტების, სიმბოლიკისა და სტილი, აგრეთვე ანტიკური ლირიკის რეცეფციის ძირითადი მიმართულებების გაცნობას.

ანტიკური ლიტერატურის ჟანრები 3 – დრამა

Genres of Greek and Roman Literature 3 – Drama

სასწავლო კურსი გულისხმობს ანტიკური დრამის ღრმად და სისტემურად შესწავლას; მაგისტრანტისათვის კლასიკური ბერძნული ტრაგედიისა და კომედიის, ახალატიკური და რომაული კომედიის, რომაული ტრაგედიის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო

პრობლემატიკის; ანტიკური დრამის ფრაგმენტულად და სრულად მოღწეული ტექსტების სიმბოლიკისა და სტილი აგრეთვე ანტიკური დრამის რეცეფციის ძირითადი მიმართულებების გაცნობას.

მოდული: კლასიკური ფილოლოგია

ძველი ბერძნული ენის ისტორია
History of the Ancient Greek Language

სასწავლო კურსი გულისხმობს, მაგისტრანტისათვის ძველი ბერძნული ენის ისტორიის, ძველი ბერძნული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარების ეტაპებისა და მათი თავისებურებების, ძველი ბერძნული ენის დიალექტებისა და მათი ჩამოყალიბების ისტორია შესწავლას.

ლათინური ენის ისტორია

History of the Latin Language

სასწავლო კურსი გულისხმობს, მაგისტრანტისათვსი ლათინური ენის ისტორიის, ლათინური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარების ეტაპების ა და მათი თავისებურებების და იმ ფაქტორების, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ლათინური ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს შესწავლა.

კველევის თანამედორვე მეთოდები კლასიკურ ფილოლოგიაში

Modern methods of research in the Classical Philology

სასწავლო კურსი გულისხმობს კვლევის თანამედროვე მედია საშუალებების გაცნო¬ბასა და მათ დაუფლებას. სტუდენტები შე-ისწავლიან სხვადასხვა სახის ტექს¬ტური, ოპტიკური და აუდიო მასალის მო¬პოვებას, რაც დაეხმარება მათ რო¬გორც სამაგისტრო ნაშრომის მომ¬ზადებაში, ასევე შემდგომი კვლევისას

ანტიკური ლექსთწყობა

Greek and Roman Metre

სასწავლო კურსი გულისხმობს, სტუდენტს შეასწავლოს ლექსთწყობის თეორიული საკითხები, ანტიკური ლექსთწყობის სისტემა და მისი გამოყენება ბერძნულ-რომაული პოეზიის კითხვისა და თარგმნის პროცესში, აგრეთვე ბერძნული და ლათინური დეკლამაციური და სასიმღერო პოეზიის საზომები (კატა მეტრონ და უკ კატა მეტრონ);

უძველესი მედიტერანულ-ქართველური მიმართებები

Mediterranea – Kartvelica

სასწავლო კურსი გულისხმობს, მაგისტრანტებისათვის მედიტერანულ (შუმერულ, პროტოხათურ, წინაბერძნულ, ეტრუსკულ) ენათა ქართველურ ენებთან მიმართების პრობლემატიკასთან დაკავშირებული ჰიპოთეზებისა და თეორიების; უძველესი მედიტერანული ენების გრამატიკისა და ლექსიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების შესწავლას;

თანამედროვე ლიტერატურული კონცეფციები და ანტიკურობა

Modern Literary Concepts and Antiquity

სასწვლო კურსი გულისხმობს ანტიკური და თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის პრობლემებისა და კონცეფციების, შესაბამისი ლიტერატურატმცოდნეობითი მეთოდების შესწავლასა და სტუდენტების მიერ მათ გამოყენებას ფილოლოგიური ანალიზის პროცესში; ანტიკური ტრადიციის მუდმივობის ისტორიული და კულტურული მიზეზების გაცნობასა და შესწავლას.

ქალი ანტიკურ სამყაროში

Woman in the Ancient World

სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლება ანტიკურ სამყაროში ქალის ფუნქცია და როლი; გათვალისწინებულია გენდერული პრობლემატიკის ამსახველი ანტიკური ლიტერატურული წყაროების; ანტიკურობაში გენდერული კვლევების უმთავრესი პრობლემატიკის და თეორიების; გენდერული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიების; ქალთა ანტიკური და თანამედროვე პრობლემატიკის მიმართებების მაგისტრანტებისათვის გაცნობა და შესწავლას.

ჰომეროსი და რუსთველი

(ეპიკური კომპოზიციის მაორგანიზებელი პრინციპები ჰომეროსის ეპოსსა და *ვეფხისტყაოსანში*).

Homer and Rustaveli (Comparative Studies in Modes of Epic Composition)

სასწავლო კურსი გულისხმობს, მაგისტრანტების მიერ ჰომეროლოგიური და რუსთველოლოგიური სამეცნიერო პრობლემატიკის სისტემური ანალიზის, ჰომეროსის ეპოსისა

და *ვეფხისტყაოსნის* ნარატოლოგიური, კომპარატივისტული და სტრუქტურალისტური მეთოდებით კვლევისა და ჰომეროლოგიური და რუსთველოლოგიური სამეცნიერო პრობლემატიკის ურთიერთგანსხვავებული და მსგავსი ასპექტების გამოვლენა–გაანალიზების გზით ჰომეროსისა და რუსთველის მხატვრულ მემკვიდრეობათა შესწავლას მათი ახლებურად, არატრადიციულად ინტერპრეტირების პროცესში.

იტალიური ენა ლათინური ენის მცოდნეთათვის 1

Italian with knowledge of Latin 1, 2

ორ სასწავლო სემეტრზე გათვლილი სასწავლო კურსი გულისხმობს, მაგისტრანტებისათვის იტალიური ენის გრამატიკის, ლექსიკის, ფრაზეოლოგიის საფუძვლების სწავლებას; იტალიური ენის გრამატიკისა და ლექსიკის განმარტებას ისტორიული წიაღსვლებით, ლათინურთან პარალელებით; ლათინური ენის მცოდნეთათვის თავად ლათინური ენის ლექსიკისა და გრამატიკის სრულყოფილად ათვისებაში ხელის შეწყობას „ცოცხალი“ ენის, რომანული ჯგუფიდან ლათინურთან ყველაზე ახლომდგომის, იტალიურის მეშვეობით.

მხატვრული ტექსტის ანალიზის საფუძვლები (მითი და ლიტერატურა)

Basis for Analysis of Literary Texts (Myth and Literature)

სასწვლო კურსი გულისმობს მაგისტრანტისათვის მითორიტუალური მოდელების, კოდების, სიმბოლოების ლიტერატურულ სახეებად გარდასახვის პროცესის; ტექსტის ტიპებს შორის (ისტორიული, მითოგრაფიული, მხატვრული და სხვ.) განსხვავებების, მხატვრული ტექსტისა და „საბაზო მოდელების“ რაობის; მხატვრული ტექსტის ერთ–ერთი მთავარი კომპონენტის – ტროპების ფორმირებისა და ფუნქციების გაცნობასა და შესწავლას.

ანტიკური სამყაროს ქალთა შემოქმედება

Women's Poetry in Antiquity

სასწავლო კურსი გულისხმობს სტუდენტებს შეასწავლოს ძველი სამყაროს, კერძოდ, ანტიკური ცივილიზაციის ქალთა სახეები და შემოქმედება, ანტიკური და თანამედროვე გენდერული პრობლემები.

ძველი ბერძნული ენის ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია
Lexicology and Lexicography of Ancient Greek Language

სასწავლო კურსი გულისხმობს მაგისტრანტებისათვის ძველი ბერძნული ენის ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ცნებების, პრინციპებისა და მახასიათებლების სწავლებას; გათვალისწინებულია, აგრეთვე, სტუდენტებისათვის როგორც ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თეორიული საკითხების, ისე ძველი ბერძენი ავტორების ენისა და სტილის, ლექსიკის თავისებურებების გაცნობაც.

სასაუბრო ლათინური ენა

Colloquial Latin

კურსი გულისხმობს ლათინურ ენაში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას სამეტყველო ელემენტების გამოყენებით. მაგისტრანტები აითვისებენ კონკრეტულ თემატურ ჯგუფებად დაყოფილ ლექსიკურ ერთეულებს; პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდობით გაიწაფებიან ლათინური ენის სინტაქსში; გაეცნობიან ფრაზის ზეპირი აგების მარტივ და რთულ კონსტრუქციებს; დაეუფლებიან თემატურად მოწესიგებულ იდიომატიკასა და ფრაზეოლოგიას.

ძველი ბერძნული სასამართლო ორატორია და სოციალური კონტექსტი

Ancient Greek Law Court Oratory and Social Context

სასწავლო კურსი მოიცავს ძველი ბერძნული სასამართლო ორატორიის, ძველი ბერძნული იურისპრუდენციის საფუძვლების სწავლება; უმთავრესი ბერძნული სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირების გაცნობას; ძველ ბერძნულ ენასა და ლიტერატურაში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას. ძვ. წ. V-IV სს–ების ათენური სასამართლო ორატორიის ძირითადი ძეგლების თანადროულ სოციალურ კონტექსტთან მიმართებაში გაცნობას.

ძველი ბერძენი ვატორი 1, 2

Ancient Greek Author 1, 2

ორ სემესტრზე გათვლილი სასწავლო კურსი გულისხმობს ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის, ბერძნული დიალექტოლოგიის სფეროებში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას, ძველი ბერძენი ავტორის (შერჩევით) შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკისა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გაცნობას.

რომაელი ავტორი 1, 2

Roman Author 1, 2

ორ სემესტრზე გათვლილი სასწავლო კურსი გულისხმობს ლათინური ენისა და რომაული ლიტერატურის სფეროებში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას, რომაელი ავტორის (შერჩევით) შემოქმედების ან კონკრეტული ნაწარმოების (ნაწარმოებების) ძირითადი პრობლემატიკისა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გაცნობას.

სენეკა

Seneka "De Vita Beata"

სასწავლო კურსი გულისხმობს სტუდენტისათვის ლათინური ენის ცოდნის გაღრმავებას. ლიტერატურულ ძეგლთა ორიგინალის ენაზე შესწავლაა და ფილოლოგიური ანალიზის ჩვევის გამომუშავებას; რომაელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსის სენეკას მნიშვნელოვანი ტრაქტატის "ნეტარი ცხოვრების შესახებ" ქართული კომენტირებული თარგმანის გამოსაცემად მომზადებას.

ახალი აღთქმის ბერძნული ენა (ატიკური და კოინე)

The Greek Language in the New Testament – Hellenic Koine

სასწავლო კურსი გულისხმობს სტუდენტისათვის ბერძნული ენის შესწავლას გვიანანტიკურ კოინესთან მიმართებაში.

ელინისტური ეპოქის ლიტერატურული ექსპერიმენტები თანამედროვე პოეზიის კონტექსტში

Hellenistic Literary Experiments in the Context of Modern Poetry

სასწავლო კურსი გულისხმობს, სტუდენტებს, რომლებსაც უკვე გავლილი აქვთ ანტიკური ლიტერატურის ისტორიის კურსი, მისცეს შესაძლებლობა უფრო ღრმად ჩაიხედონ ელინიზმის ეპოქის თავისებურებაში, გაიცნონ ამ ეპოქის ლიტერატურული ძიებების სპეციფიკა, აღიქვან იგი და შეაფასონ თანამედროვე ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში.

ლათინური ენის სინტაქსი და სტილისტიკა

Syntax and Stylistics of Latin Language

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიღღმავებენ ცოდნას ლათინური ენის სინტაქსსა და ლათინური ენის სტილისტიკის საფუძვლებში.

ანტიკური ფერთამეტყველება

Ancient Colours

კურსი გულისხმობს სტუდენტებისათვის ფერთა ძველბერძნული თეორიებისა და მათი თანამედროვე ინტერპრეტაციების გაცნობას, ანტიკური ლიტერატურის ფერთამეტყველების შესწავლას ძირითადად მისი ერთ-ერთი ჟანრის, ტრაგედიის მაგალითზე (ვინაიდან მონოგრაფიულად მხოლოდ ამ ჟანრის ქრომატიზმია გამოკვლეული); ძველ ბერძნულ ენასა და ლიტერატურაში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას, კერძოდ, ბერძნული ტრაგედიის მხატვრული სამყაროსა და ტრაგიკოსთა მწერლური ოსტატობის თავისებურებათა შესწავლას.

მოდული: ————ბიზანტიური ფილოლოგია

ბიზანტიური ლიტერატურის ჟანრები

Genres of Byzantian Literature

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ბიზანტიური მწერლობის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით ძირითადი ლიტერატურული ჟანრების, მათი გენეზისისა და ისტორიის სწავლება; გათვალისწინებულია ბიზანტიელთა მიერ ანტიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისებისა თუ ტრანსფორმირების მნიშვნელობის გააზრება; ბიზანტიური ცივილიზაციის წვლილის გაცნობიერება, ერთი მხრივ, აღმოსავლურ ქრისტიანული, მეორე მხრივ, ზოგადად, ე. წ. დასავლური ტიპის კულტურის ფორმირებაში.

ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული ენა

Byzantine (Medieval) Greek Language

სასწავლო კურსი გულისხმობს შუა საუკუნეების ბერძნული ენის გრამატიკის სწავლებას გვიანანტიკურ კოინესთან მიმართებით, ტექსტის კითხვისას თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებას. ბიზანტიური ხანის ბერძნული ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებების, კლასიკურ ბერძნულ ენასთან შედარებით მომხდარი ცვლილებების მიზეზებისა და შედეგების სწავლებას.

შუა საუკუნეების ლათინური ენა

Latin of the Middle Age

სასწავლო კურსი გულისხმობს შუა საუკუნეების ლათინური ენის საფუძვლების სწავლებას კლასიკურ ლათინურთან მიმართებაში. კლასიკურ ლათინურთან შეპირისპირებით გვიანი და შუა საუკუნეების ლათინურის საფუძვლებისა ლექსიკონის დახმარებით ამ პერიოდის ლათინური ტექსტების თარგმანისა და მათი გრამატიკული ანალიზის ჩატარების შესწავლას .

ბერძნული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია

Greek Epigraphy and Paleography

სასწავლო კურსი გულისხმობს ბერძნულ ანბანთან, მის ისტორიასა და განვითარებასთან, დამწერლობის ფორმებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, ბერძნული წარწერებისა და ხელნაწერების სპეციფიკის გაცნობასა და სწავლებას.

კველევის თანამედორვე მეთოდები ბიზატიურ ფილოლოგიაში

Modern methods of research in Byzantine Studies

სასწავლო კურსი გულისხმობს მაგისტრანტებისათვის კვლევის თანა¬მედ¬¬როვე მედია საშუალებების გაც¬ნო¬ბასა და მათ დაუფლებას. სტუდენტები შე¬ისწავლიან სხვადასხვა სახის ტექს-ტური, ოპტიკური და აუდიო მასალის მო¬პოვებას, რაც დაეხმარება მათ რო¬გორც სამაგისტრო ნაშრომის მომ¬ზადებაში, ასევე შემდგომი კვლევისას.

ბიზანტიური ღვთისმეტყველება და ენის თეორიის საკითხები

Byzantine Theology and the Problems of Language Theory

სალექციო კურსი გულისხმობს, გააცნოს მაგისტრანტს პატრისტიკული ღვთისმეტყველება ენობრივი არტიკულაციის ანალიზის კუთხით. სალექციო კურსი აცნობს სტუდენტს ამ საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულ პრობლემატიკას აზრისა და ენის ურთიერთმიმართების, აგრეთვე ენობრივი გამოხატვის საშუალებათა შესახებ. ძირითად საკითხავ მასალად შერჩეულია იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, რომელშიც წარმოდგენილია პატრისტიკული ტრადიციაში საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ენობრივი ნორმა. სალექციო კურსი ზემოხსენებულ საკითხებს განიხილავს ისტორიულ ჭრილში.

ლათინური სამეცნიერო–ფილოლოგიური ტექსტები

Latin Scientific Philological Texts

სალექციო კურსი გულისხმობს, სამეცნიერო-ფილოლოგიური შინაარსის ლათინური ტექსტის სინტაქსისა და ლექსიკის შესწავლას; ლათინურენოვანი ფილოლოგიური და ტექსტოლოგიური გამოკვლევების კითხვასა და მათ სწორ ინტერპრეტაციას; კლასიკური და შუა საუკუნეების ლათინური ენისა და სტილის საკითხებში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას.

ბიზანტიელი ავტორი 1, 2

Byzantine Author 1, 2

ორ სემესტრზე გათვლილი სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ბიზანტიური, შუა საუკუნეების ბერძნული ენისა და ბიზანტიური ლიტერატურის სფეროებში სტუდენტის ცოდნის გაღრმავება, ბიზანტიელი ავტორის (შერჩევით) შემოქმედების ძირითადი ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო პრობლემატიკისა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა.

შუა საუკუნეების ლათინურენოვანი ავტორი

Medieval Latin Author

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ლათინური პატრისტიკის უდიდესი წარმომადგენლის, ავრელიუს ავგუსტინეს პროზის ძირითად მახასიათებლებს მისი უმთავრესი დოგმატური თხზულების, De Trinitate-ს ("წმ. სამებისათვის") მაგალითზე; სტუდენტი დაეუფლება უმთავრეს დოგმატურ-საღვთისმეტყველო საკითხებს და მათთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, აგრეთვე ავტუსტინეს ენასა და სტილს.

კაპადოკიელთა ანთროპოლოგიური მოძღვრება

Anthropology of Cappadocian Fathers

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ქრისტიანული ანთროპოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს სამი დიდი კაპადოკიელი ღვთისმეტყველის – ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის მოძღვრებათა მიხედვით. ამ მოღვაწეთა თხზულებების ცალკეულ ეპიზოდებს ორიგინალში წაიკითხავენ. ნაწარმოებებიდან გამოკრებილი მონაკვეთების საფუძველზე ისეთი საღვთისმეტყველო იდეების დამუშავებას, როგორებიცაა: სწავლება ადამიანის შექმნის შესახებ, ხატება და მსგავსება ღვთისა, თავისუფალი ნების იდეა, ღვთის შემეცნება, ქრისტიანული ესქატოლოგია და სხვა.

არეოპაგიტიკა

Areopagetica

აღნიშნული სასწავლო კურსი გულისხმობს არეოპაგიტიკაში გადმოცემული თეოლოგიურ-ფილოსოფიური სწავლებათა, რომელთაც საფუძველი ბიბლიურ წიგნებსა და ანტიკურ ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში ეძებნებათ და რომელნიც, თავის მხრივ, საფუძველს წარმოადგენენ ევროპული ფილოსოფიისათვის მაგისტრანტებისათვის გაცნობას.

პალეოლოგოსთა ხანის ბიზანტიური ისტორიოგრაფია

Byzantine Historiography of the Palaeologan Period

სასწავლო კურსიმოიცავს ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჟანრის განვითარების თავისებურებათა შესწავლას პალეოლოგოსთა პერიოდში, უმთავრესად, ბიზანტიელ ისტორიკოსთა თხზულებების ორიგინალში კითხვის გზით.

XI-XII საუკუნეების ბიზანტიური ფილოსოფიური ტექსტები

Byzantine Philosophical Texts of the 11th and 12th Centuries

სასწავლო კუსი მოიცავს ერთი კონკრეტული ეპოქის – XI-XII საუკუნეების სააზროვნო ტენ-დენციებზე დაკვირვებით ბიზანტიური ფილოსოფიის განვითარების ისტორიის მთლიანობაში გააზრებას: კლასიკური პატრისტიკიდან მოყოლებული ვიდრე აღორძინების ხანამდე; ბერძნულენოვანი ფილოსოფიური ტექსტების ორიგინალში კითხვით ფილოსოფიური ენისა და სპეციალური ტერმინოლოგიის ათვისება.

ნეოპლატონზმი: მეტაფიზიკასა და ცხოვრების წესს შორის

Neoplatonism: Between Metaphysics and the Way of Life

სასწავლო კურსი გულისხმობს ანტიკური ნეოპლატონიზმის ძირითადი კომპონენტების შესწავლას მათ ურთიერთმიმართებაში: ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის და ანთროპოლოგიის კავშირის ფარგლებში. შესწავლის ლაიტმოტივი: რამდენად არის დამოკიდებული ნეოპლატონიკოსთა შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ ვიცხოვროთ, მათ ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრინციპებზე? როგორ აკავშირებს ნეოპლატონური შემეცნების თეორია მათ ეთიკურ და ონტოლოგიურ შეხედულებებს ერთმანეთთან?

ახალი ბერძნული ლიტერატურის მოდული

ევროპული ლიტერატურული მიმდინარეობები და ბერძნული მწერლობა (XIX-XX სს.)

European Literary Movements and Greek Literature (XIX-XX centuries)

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტებს სრული წარმოდგენა შეექმნებათ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნეში ევროპულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების შესახებ, როგორ აისახა ეს მიმდინარეობები ბერძნულ ლიტერატურაში და რა გავლენა იქონია ევროპულმა ლიტერატურამ ბერძნულ მწერლობაზე. მაგისტრანტი გაეცნობა ამ პერიოდის ლიტერატურული მიმდინარეობების ბერძენ წარმომადგენელთა შემოქმედებას.

ახალი ბერძნული ენის ფორმირების ეტაპები

Development Stages of Modern Greek Language

სასწავლო კურსი გულისხმობს ახალი ბერძნული ენის ფორმირების ძირითადი ეტაპების - კონსტანტინოპოლის დაცემიდან უახლეს ეპოქამდე, გაცნობასა და შესწავლას, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას, შეიმუშავოს ახალი იდეები, გააცნობიეროს ცალკეული პრობლემების (როგორიცაა კათარევუსას წარმოშობა, განმანათლებლობის ეპოქაში წარმოქმნილი ენის პრობლემა, დიმოტიკისათვის ბრძოლის სხვადასხვა ეტაპი და სხვ.) გადაჭრის გზები.

თანამედროვე ბერძნული პოეზიის კორიფეები

The Coryphaei of Modern Greek Poetry

სამაგისტრო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია თანამედროვე საბერძნეთის ყველა დიდი პოეტის შემოქმედების მაგისტრანტისათვის სრულყოფილად გაცნობა და შესწავლა.

კველევის თანამედორვე მეთოდები ბიზატიურ ფილოლოგიაში

Modern methods of research in Modern Greek Philology

სასწავლო კურსი გულისხმობს მაგისტრანტებისათვის კვლევის თანამედროვე მედია-საშუალებების გაცნობასა და მათ დაუფლებას. სტუდენტები შე¬ისწავლიან სხვადასხვა სახის ტექსტური, ოპტიკური და აუდიო მასალის მოპოვებას, რაც დაეხმარება მათ როგორც სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში, ასევე შემდგომი კვლევისას

XX საუკუნის ბერძნული პროზა

Greek Proze in the 20th century

სასწავლო კურსის მაგისტრანტს შეასწავლის XX საუკუნეში ბერძნულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებსა და ტენდენცებს, XX საუკუნეში მოღვაწე ბერძენი მწერლების შემოქმედებას. კურსი, ასევე, მიზნად ისახავს სტუდენტის ანალიტიკური უნარ–ჩვევების განვითარებას, სამეცნიერო კვლევის უნარის დახვეწასა და გაღრმავებას ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობის პროცესში, მხატვრული ტექსტის დამუშავების ტექნიკის დაუფლებას ინტერდისციპლინურ რაკურსში, განსახილველი თემის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას, დამუშავებსა და ჯგუფის წინაშე ამ თემის წარდგენას.

ანტიკური ტრადიცია და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურა
Ancient Tradition and Modern Greek Literature

სამაგისტრო კურსი შეასწავლის სტუდენტს, თუ რა მოიაზრება ცნებაში "ანტიკური ტრადიცია", რა გავლენა იქონია ანტიკურმა ტრადიციამ ევროპულ ლიტერატურაზე, როგორ აისახა იგი თანამედროვე ბერძნულ მწერლობაში. ანტიკურობის, როგორც თანამედროვე ხელოვანთა მასტიმულირებელი ფაქტორის, აქტუალობის განმაპირობებელი მიზეზების გაცნობა და შესწავლა.

ანტიკური დრამა თანამედროვე ევროპულსა და ბერძნულ დრამატურგიაში
Ancient Drama in Modern European and Greek Playwritting

სასწავლო კურსი გულისხმობს თეატრის დაბადების ისტორიისა და მისი განვითარების ეტაპების, ანტიკური დრამის რეცეფციების თანამედროვე ევროპულსა და ბერძნულ დრამატურგიაში გაცნობას. ანტიკური ტრაგედიის პერსონაჟების თანამედროვე თეატრისათვის აქტუალობის განმსაზღვრელი და ანტიკურ თემატიკაზე თანამედროვე დრამატული ნაწარმოებების შექმნის მასტიმულირებელი ფაქტორების გაცნობასა და სესწავლას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ნახონ ანტიკური დრამის საუკეთესო თანამედროვე სასცენო ნიმუშები.

თანამედროვე ბერძენი ავტორი 1 , 2

Modern Greek Author 1, 2

ორ სემესტრზე გათვლილი სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაიღრმავებენ ცოდნას ახალი ბერძნული ენისა და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის სფეროებში; გაეცნობიან თანამედროვე ბერძენი ავტორის (შერჩევით) შემოქმედების ძირითად პრობლემატიკასა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას.

კულტურათა დიალოგი თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში

Cultural Dialogue in Modern Greek Literature

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს ეცოდინება XIX - XX საუკუნეებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბერძნების შესახებ, თუ როგორ აისახა მათი ყოფა, ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემები, სხვა ერებთან დიალოგის საკითხი თანამედროვე ბერნულ ლიტერატურაში, როგორია მწერლების დამოკიდებულება სამშობლოს მოშორებული ბერძნების მიმართ.

ყოფითი ჟანრის მოთხრობა

Short Story

სასწავლო კურსი გულისხმობს მაგისტრატურის სტუდენტებისათვის თანამედროვე ბერძნული მოთხრობის წარმოშობის, განვითარების, სტრუქტურის, ტენდენციების, სტილის, შინაარსის გაცნობას. სასწავლო კურსი მოიცავს სამი ავტორის (გ. ვიზიინოსის, ალ. პაპადიამანდისის, ა. კარკავიცას) შემოქმედებას (სწავლება მიმდინარეობს ბერძნულ ენაზე). სტუდენტი ეცნობა თანამედროვე ბერძნული მოთხრობის წარმოშობას, განვითარებას, სტრუქტურას, ტენდენციებსა და სტილს; გ. ვიზიინოსის, ალ. პაპადიამანდისის, ა. კარკავიცას შემოქმედების ძირითადი მახასიათებლებსა და თავისებურებებს;

ბერძნული სიურეალისტური სკოლა

Greek Surrealistic School

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ბერძენი სიურეალისტების შემოქმედებასა და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას; გაეცნობიან მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ბერძნულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს; მასალის ცოდნა სტუდენტს საშუალებას მისცემს, შეიმუშავოს ახალი იდეები თემასთან დაკავშირებით (მაგ. რატომ იყო ასეთი პოპულარული სიურეალიზმი საბერძნეთში და ა.შ.).

ფემინისტური მოძრაობის გავლენა XX საუკუნის ბერძნულ მწერლობაზე

The Influence of Feministic Movement on 20th centure Greek Literature

სასწავლო კურსის გულისხმობს ახალ ბერძნულ მწერლობაზე XX საუკუნეში მომძლავრებული ფემინისტური მოძრაობის გავლენის შესწავლას, მხატვრულ ნაწარმოებებში გენდერული საკითხების ანალიზსა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას.

რიტუალები XX საუკუნის ბერძნულ ლიტერატურაში

Rituals in the Twentieth Century Greek Literature

სასწავლო კურსის ფარგლებში ბერძნული ფოლკლორი და ეთნოგრაფიის საკითხები ისწავლება თანამედროვე კულტუროლოგიის კუთხით. გაანალიზებულია XX საუკუნის ბერძნულ ლიტერატურაში წარმოდგენილი რიტუალები. მხატვრულ ნაწარმოებებში რიტუალთა ფუნქციასა და როლთან ერთად ყურადღება გამახვილდება რიტუალთა უნივერსალურ და ბერძნული სინამდვილისათვის დამახასიათებელ ასპექტებზე.

იდენტობა ახალ ბერძნულ ლიტერატურაში

Identity Issues in Modern Greek Literature

სამაგისტრო კურსი გულისხმობს XIX და XX საუკუნეების ბერძნული ლიტერატურის იმ ძეგლების მიმოხილვას, რომლებშიც ყველაზე აშკარად არის წარმოჩენილი ბერძნული იდენტობისა და საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი. დამუშავებული იქნება ტექსტები, რომელთა მეშვეობითაც სოციალური ცვლილებების ფონზე მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ანალიზია შესაძლებელი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტექსტში წამოჭრილ ისეთ საკითხებსა და პრობლემატიკას, როგორებიცაა ადამიანთა თვითიდენტიფიკაციის პრობლემა, სოციალური დეტერმინიზმი, რაც, თავის მხრივ, ადამიანსა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობების კვლევისადმი ახლებურ მიდგომას, ახალ თვალსაზრისს გვთავაზობს.

კვიპროსული ლიტერატურა

Cyprian Literature

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან XIX-XX საუკუნეების კვიპროსულ ლიტერატურას. გაიღრმავებენ ცოდნას კვიპროსული ლიტერატურის ისტორიის ძირითად ეტაპებში, კვიპროსელი ავტორების შემოქმედების ძირითადი მახასიათებლებსა და თავისებურებებში.